ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი

საყოველ კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1889 წელსა № 16 10 სექტემბერი.


## მგელი და ბატკანი

კრილოვიდგან.

სადაც ძლიერთან უძლურსა
როდისმე საქმე ჰქონია,
იქ დამნაშავეთ ძლიერსა
უძლური დაურჩომია.
ასრეა, ასრე ყოფილა,
ასრეც იქნება დიდს ხანსა.
თუ არა გჯერათ, დაუგდეთ
ყური თქვენ ამ ჩემს ამბავსა.

ერთხელ ერთს ძლიერ ცხელს დღეში,
ერთს ბატკანს მოსწყურებოდა
და დასალევად, მწყურვალი,
წყაროს წყალის დასწაფებოდა.

თბილისი

საუბედუროთ ბატკნისა
ამ ადგილებში, მშიერი
და მწარეთ გადახრწნეული.
დასენველაობდა მგელი.
ამ სუნველსა და ძებნაში
მგელმა ბატკანს მოჰკრა თვალი.
აქ მეტი სიხარულისგან,
დააწყებინა კანკალი.
მაგრამ მძლავრთა ესეცა სჭირთ,
რომ თვისსა ცუდსა საქმესა,—
ცუდათ არვის ეჩვენოსო,—
ამლევენ სჯულის სახესა.
ჩვენმა მგელმაც ბატკანზედა
მოინდომა ეს ხრიკები
და მორიდამვე დაუწყო
იმას ამგვარი სიტყვები.
„ როგორ გაჰბედე შე ურცხვო,
შე მურალო და შე უზნეო,
დასალევათ ბილწი პირით
ჩამოსულხარ ჩემს წყალზეო!
მწარეული და მურტალი
მიმღვრევ და მიუროლებ წყალსა!
მაგვარი თავხედობისთვის
ეხლავე წაგგლეჯავ თავსა!„

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარს მრისხანე სიტყვებზედ
ბატკანმა ძლივას გაჰბედა
და მათსა ბრწყინვალებასა
მგელს მისვნით ესე მოხსენდა.
— თუ რომ ბრწყინვალე მგელი ინებებს
და მოიხსენებს ჩემს სიმართლესა,
მე ვერას ღონით და ვერას გზითა,
ვერ ავამღვრევდი წყალს, მის სასმელსა.
თქვენა ბრძანდებით მაღლა ქედზედა
და მაგ ქედიდამ წყალი მირს ჩადის,
მე მირს გახლავართ, წყალს ქვევითა ვსვამ
თქვენს მოშორებით ათასის ბიჯის.
და ქვევიდამა არ გაგონილა
წყალი მთის წვერზედ ამღვრეულიყვეს.
ამის მიზეზით ჩემის წყალის სმა,
თქვენი ხაწყრომში არ უნდა იყვეს! —
„მაშ შენი სიტყვით მე ვტყუი, რაღა!
ერთი შეჰხედეთ რაებს მიბედავს!„
შენ ისიც შეგრჩა, რომ შარშან წინა
სწორეთ, ნამდვილათ, ამავ ადგილას,
ბრიყული ქვევით გამათახსირე!
შენა გგონია, რომ შენი ქცევა
დღევანდლიმდის დამვიწყებოდეს
და არ ჩამარჩნდეს გულში ისევა?!„

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ შეჰბედა მგელსა ბატკანმა..
— როგორ გვიბრძანებ მაგვარს წყრომასა:
ორი წლის საქმეს გვიბრძანებთ თქვენ მე,
ორი წლის ბატკანს, ძუძუ მწოვარსა.—
„მაშ თუ შენ ჯერა ორი თვისა ხარ,
შენი ძმა იყო მაშ სწორედ ისა".
— მე არც ძმა მყავდა, რადგანაც მე ვარ
სულ სიყრმის შვილი დედი ჩემისა....
„თუ არც შენ იყავ და არც შენი ძმა,
თქვენი გვარისა ხომ ვინმე იყო.
თუ არც ვინ იყო თქვენი გვარიდამ,
თქვენი ჯიშისა უნდ ყოფილიყო ...
ერთის სიტყვითა, განა არ გიცნობთ!
თქვენცა და თქვენი მეცხვარეებიცა,
თქვენი ფარისა ყველა ძაღლები
და ერთიანად ყველა თხებიცა
ჩემი მტრობიდამ ვერ ამოსულხართ.
თქვენს ხელთ რომ იყვეს და რომ შეგეძლოთ,
განა მარტო მე? მთლად მგლის სახელი,
ვგონებ სეცაა, ისიც გაგეწყოთ.
იმათს მტრობასა და იმათს ჯავრსა,
სულ შენზედ ვიყრი, ეხლავ, ამ წამსა!"
— ბრწყინვალე მგელო! სხვამ რომ შეცოდოს,
სხვის ცოდოებში მე რა ბრალი მაქვს?—

„ხმა ჩაიკმინდე! ვინ გკითხავს შენა:
ბრალი გაქვს ან თუ ბრალი არა გაქვს!
შენ ის ბრალი გაქვს, რომ სამი დღეა,
ჩემს პირს ჯერ ნაყრი არ უნახნია,
და სიმშილისგან აქეთ იქიდამ
ფერდი ლასტივით ფერდზედ გამკვრია“.

ამ სიტყვის შემდგომ მგელმა ბატკანზა
გაჰკრა კბილი და ვასწია მთასა.

ა. ფ.

1874 წ.

---

## საქართველოს ისტორიის მასალები

### ბუტკოვის წიგნიდამ

(Матеріалы для новой исторіи Кавказа съ 1722 по 1803 г.)

### I

რუსეთის ხელმწიფეს, პეტრე პირველს, უნდოდა, რომ რუსეთის ვაჭრობას ჩაეგდო ხელთ სპარსეთისა, ინდოეთისა და მთელი იმ მხარის აზიის ქვეყნებისა. ამის გულისთვის პეტრემ კიდეც გაჰგზავნა ინდოეთში დიდს მოღოლთან თავისი ელჩი ვიცე ადმირალი ვილსტერი.

რომ ეს სურვილი შესრულებოდა პეტრეს, საჭირო იყო იმის-თვის, რომ დაეჭირა სპარსეთის საუკეთესო ადგილები თვით ინ-დოეთამდის.

ამ ხანებში საშინელი უჯიათი და უდარდელი მმართველობა იყო სპარსეთში, რომელიც დამყარდა 1629 წლიდამ, შემდგომ დიდი შაჰ-აბაზის სიკვდილისა. 1694 წელსა სპარსეთის შაჰად გახდა 24 წლის უმაწვილი ჰუსეინი, რომელიც იყო სეფის გვარისა. იმისმა სასიამოვნო სანახაობამ, წყნარმა ქცევამ, სიუხვემ და ნამეტნავად მან, რომ საზიზღრად და გასაკიცხად მიაჩნდა თავის მამის სუ-ლეიმანის უჯათი ქცევა, მოუგეს თავის საყმოს გული. თავის მე-ფობის პირველს ხანებში ბევრი კარგი სამართლიანი საქმეები მოახდინა; გამოიჩინა კაცთ-მოყვარეობა და ღვთის-მოყვარეობა. მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ ამან გამოიჩინა ის ხასიათე-ბი, რომელნიც უეჭველია უნდა ჩამკვიდრებოდნენ გულში იმ აღ-ზრდილობის გამო, რომელიც ამას მიეღო სიყმაწვილით: ის გაი-ზარდა ჰარამის ქალების განვლენის ქვეშ და არ იცნობდა სრუ-ლიად ქვეყანას. ის დღე და ღამე იჯდა ჰარამში, იქ ატარებდა დროს, უყვარდა ქეიფები, შეიქნა სულ-მოკლე და ზარმაცი და საქმეები მიანდო თავის ვეზირებს და კარის-კაცებს. ქვეყნის საქმეებს განა-გებდნენ ისინი, და ყველას ამათ ერთმანერთი სძაგდათ ჭირივით; სცდილობდნენ მხოლოდ, რომ თავის საქმე მკვიდრათ დაეჭირათ, ძალა ხელში ჩაეგდოთ, გამდიდრებულიყვნენ და სხვას ყურს არას უგდებდნენ. სახელმწიფო რჩევის კაცნი იყვნენ სერალის სა-ჭურისები, რომელნიც განაგებდნენ ყველა საქმეებს ანუ უკეთა ვსთქვათ, ყველა საქმეებს სცრიდნენ და უშლიდნენ წარმოებას.

ჰუსეინს ბევრი შვილები ჰყავდა სხვა-და-სხვა ცოლებისგან. თამაზი 1717 წელს ჯერ ისევ უმაწვილი იყო და არ გამოდიოდა ჰარამიდამ.

ამ ხელმწიფის სამარცხვინო ცხოვრებამ და ვეზირთა და კა-რის-კაცთა უჯიათმა ქცევამ გამოადებინა თავი ბევრს სპარსეთის სხვა-და-სხვა კუთხეების მთავართ და დიდებულთა, მეტადრე ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასნისა, ყანდაარისა და ერათის მთავართა რომელნიც აეშალნენ შაჰსა.

მირ-ვეისი, ელი-ზეგი — ანუ შთამომავლობით მთავარი ავღანისა ანუ ქალიშის გაუტეხარი ვაჟკაცი ხალხისა, რომელიც აღიარებდა ომარის სარწმუნოებასა და ელათ მთაბარობდა ყანდაარის მთიანს ადგილებში, რომელიც მდებარებს ინდოეთისა, სპარსეთისა და ბუხარის შუა, — იყო კაცი გამბედავი და საქმის დამწყობი. ამან პირველმა ისარგებლა სპარსეთის მმართებლობის სისუსტით. სპარსეთის მმართებლობამ ჯერ სიცილადაც არ იგმარა ამისი აშლა და ემუქრებოდა ჯარების გასევნას, რომ ყველანი ლუკმა-ლუკმა აეკაფნათ. მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ამ მუქარამ ვერავინ შეაშინა. რადგან ჯარში ვერ იყო კარგი წყობილება და შაჰის პირველი კაცები მისყიდულები ჰყვანდნენ მირვეისს, ამის გამო ჯარებმა ვერა გააწყეს-რა. მირვეისმა მოინდომა სრულებით განთავისუფლება სპარსეთისაგან. ამის გამო ამან სრულიად მოსწყვიტა, ვინც-კი ავღანში სპარსები იყვნენ და მოჰკლა კიდეც სპარსეთის მმართველი ავღანში, ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII შვილი, რომელსაც სპარსელები გურჯი ხანს ემახდნენ. აიღო ყანდაარის ციხე და გახდა სრულიად ავღანის ბანტონი.

ამ ხანებში სავაჭრო საქმეების კონვენციის შესაკვრელად პეტრე პირველმა გაგზავნა სპარსეთში პოდპოლკოვნიკი არტემი ვოლინსკი.

ვოლინსკის ნაბრძანები ჰქონდა, რომ გაეგო აწერილი ამღილობის საქმეები, შეეტყო რა საომარი ძალა აქვს სპარსეთსა, აეწერა ქალაქები, ციხეები და სხვა სიმაგრენი და სამძღვრები. ამ საქმეების შესასრულებლად პეტრემ გაატანა თან რამდენიმე სწავლული კაცი. კასპიის (გურგენის) ზღვის ასაწერათ და ცნობაში მოსაყვანად. კარტის შესარდგენათ პეტრე პირველმა გაგზავნა ცალკე კოჟინი 1716 წელსა.

სპარსეთმა დიდად სასარგებლო სავაჭრო პირობანი დაუდო რუსეთისა, მიეცათ რუსებს სრული თავისუფლება ვაჭრობისა, რუსის

ვაჭრებს უნდა თანა ხლებოდნენ სპარსეთის ყარაულები, რომ ვნება არა მისცემოდათ რა ავაზაკთა და მეკობრეთაგან.

ვოლინსკი დაბრუნდა ამ კონვენციით რუსეთში, მოიტანა ყველა ცნობანი, რაც-კი მინდობილი ჰქონდა და დაწვრილებით მოახსენა ხელმწიფეს. მოახსენა სიმდიდრე ზღვის პირზედ მდებარე სპარსეთის ქალაქებისა და ურჩია, რომ ეს ქალაქები თვითონ დაეჭირა და ჩაეყენებინა შიგ ჯარები, რადგან თუ თქვენ არა, ავღანები დაიჭერენო, და თქვენი სახელმწიფოს საზღვრებისთვის ეს საშიში იქნებაო. პეტრეს მოეწონა ეს აზრი და დაჰყაბულდა ამაზედ ვოლინსკისა.

ამის გამო, 1719 წელსა გაჰგზავნეს კაპიტან ლეიტენანტი ფონვერდენი და ლეიტენანტი სიმოინოვი, რომ გამოეკვლიათ დაწვრილებით კასპიის ზღვის ნაპირებისა და ნავთსაყუდრების მდგომარეობა. მათ ყველა ეს გამოიკვლიეს კარგად თვით ასტარაბადამდის.

22 მარტს 1722 წელსა ვოლინსკი დაინიშნა ასტრახნის ღუბერნატორად და მიიღო ბრძანება, რომ საიდუმლოთ დაეწყო მზადება სპარსეთზედ გასამხედრებლად. ამასთან უბრძანეს, რომ ყველა გარემოებანი კარგათ შეეტყო იმ ადგილებზედ, რომლებისაც დაჭერას აპირებდნენ, ცდილიყო ყოველი ღონისძიებით, რომ ქართლის მეფე ვახტანგ და სხვა ქრისტიანი სპარსეთის ხალხები მიემხრო რუსეთისაკენ. ამის გულისთვის ჰქონდა ვოლინსკის მინდობილი, დაერწმუნებინა ისინი, რომ იგინი იგყვნენ დიდად საყვარელნი და საზრუნველნი პეტრე ხელმწიფისთვის და დაჰპირებოდა მათ მის მფარველობასა. ეგრეთვე ჰქონდა მას ნაბრძანები, რომ მოემხრო კახეთის მეფე კონსტანტინე ანუ მაჰმად-ყული-ხანი, რომელიც იყო სპარსეთის მომხრე.

(შემდეგი იქნება),

რედაქტორი და გამომცემელი ალექსანდრე ხებიერიძე.

..озв. Цензурою Тифлисъ, 7 Сентября 1889 г. Типогр. Гр. Чарквіани.